

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლისა და
ტრადიციული სწავლების როლი ინგლისურის როგორც უცხოური ენის სწავლების კონტექსტში
(საშუალო სკოლაში)

ბილალ თექინი

დისერტაციის ავტორეფერატი

განათლების მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი 2015

სამეცნიერო ხელმძღვანელი

პროფესორ, დოქტორი ნათელა დოლონაძე

ექსპერტები: პროფესორ, დოქტორი ეკატერინე ფიფია

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირმა მესირიზე

ოპონენტები: პროფესორ, დოქტორი რუსუდან გოცირიძე

ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ირა დანელია

შესავალი

ლაუფერისა (Laufer, 1986) და ნეიშენის (Nation, 1990) მსგავსად, ვილკინსმა (Wilkins, 1972, გვ. 23) გამოთქვა მოსაზრება, რომ „თუ გრამატიკის გარეშე აზრის გადმოცემა ძალიან რთულია, ლექსიკის გარეშე აზრი საერთოდ ვერ გადმოიცემა“. მეარამ (Meara, 1980) აგრეთვე გამოარკვია, რომ ლექსიკის შეთვისება ერთ-ერთი უდიდესი სირთულეა მეორე / უცხო ენის შემსწავლისთვის.

ლექსიკას ენობრივ უნარ-ჩვევებში დიდი როლი აქვს. როგორც ფოლსი (Folse, 2004, გვ.26) ამტკიცებს, „ადამიანებს შეუძლიათ კომუნიკაცია დაამყარონ არასრულყოფილი გრამატიკით, მაშინ როდესაც არასწორი ლექსიკის გამოყენებით კომუნიკაცია არსებითად დაბრკოლდება.“ ლექსიკის შესწავლა მნიშვნელოვანი კომპონენტია ენის სწავლებაში, და ის აგრეთვე წამყვან როლს თამაშობს ახალი ენის შესწავლაშიც. როგორც არ უნდა იყოს, მაინც ლექსიკის შესწავლა მეორე/უცხო ენის შემსწავლელებისათვის ერთ-ერთ მთავარ სიმძნელეს წარმოადგენს მასწავლებლებისთვის.

გასული ორი ათეული წლის წინ ლექსიკის სწავლება მოიაზრებოდა როგორც ენის სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტის, გრამატიკის, წამახალისებელი ეფექტი ან განიხილებოდა როგორც მისი დანამატი (Irvin, 1990). ამას გარდა დეკარიკო (DeCarrico, 2001, გვ.285) ამტკიცებს, რომ „ლექსიკა ყოველთვის არ ითვლებოდა პრიორიტეტულ საკითხად ენის სწავლების პროცესში“.

1980-იანი წლების შემდეგ ლექსიკა ბევრი მკვლევარის ინტერესთა სფეროში მოექცა (Laufer, 1986; Carter, 1988; Nation, 1990; Descamps, 1992; Nattinger & DeCarrico, 1992). მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ არაადეკვატური ლექსიკის შემთხვევაში, ენის შემსწავლელს შეხვდება სიმძნელე როგორც რეცეპტორული (მოსმენა და კითხვა), ისე პროდუქტული უნარების (საუბარი და წერა) განვითარებისას (Laufer, 1986; Nation, 1990).

გასული ოცდაათი წლის განმავლობაში ლექსიკის სწავლებისადმი ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა. ბევრი დებატი მიმდინარეობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ და რა მეთოდებია უკეთესი ენის შემსწავლელისთვის ახალი ლექსიკის შეთვისების პროცესში. ერთი ყველაზე საუკეთესო გზა ახალი სიტყვების შეთვისებისას და სიტყვათა მარაგის გამდიდრებისას, როგორც ეს მშობლიურ ენაში ხდება, არის ინტენსიური რეალური გარემო პირობები (Krashen, 1982). მიუხედავად ამისა, მეორე / უცხო ენა უმეტესად ისწავლება საკლასო გარემოში, როგორც სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი. ვატსის (Watts, 1995) მოსაზრებით, სასწავლო პროგრამები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ საკმარისი დრო იქნას გამოყენებული ლექსიკის

შესწავლისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკის სწავლება ნაკლებადაა ხაზგასმული, ბევრი ისეთი კვლევა ჩატარდა, რომელიც დაეხმარა მასწავლებლებს მიეღოთ უფრო მეტი ინფორმაცია ლექსიკის სწავლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

ენის შემსწავლელმა შესაძლოა მიაღწიოს იმას, რომ რომელიმე უნარ-ჩვევა ძალიან მოკლე დროში სრულყოფილად განივითაროს, მაგრამ ლექსიკის შესწავლა ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესია. ტაბატაბაეი და გოოჯანი (Tabatabaei and Goojani, 2012, გვ.47) თავიანთ კვლევაში ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ლექსიკის შეთვისება დიდი გამოწვევაა მოსწავლეებისთვის. სხვა კვლევაში ჰიებერტი და კამილი (Hiebert and Kamil, 2005, (გვ.2) ამტკიცებენ, რომ „ლექსიკა არ არის უნარი, რომელი გარკვეული ასაკის მირწევთან ერთად უნდა ჩამოყალივდეს ან ის, რაც შესაძლოა ოდესმე სრულყოფილად იქნეს შესწავლილი. ლექსიკის გამდიდრება და სრულყოფა ცხოვრების მთელს პერიოდში უნდა ხდებდეს“.

რადგან ჩვენ ტექნოლოგიასთან ინტეგრირებული ცხოვრება გვაქვს, უმეტესი ენის შემსწავლელი სიამოვნებას იღებს სწავლის პროცესში ტექნოლოგიის გამოყენებისას. სწორედ ტექნოლოგია უნდა იყოს გამოყენებული ლექსიკის შესწავლისას, რათა მისი შეთვისება უფრო მოტივირებულად და ეფექტურად განვახორციელოთ.

30 წელზე მეტია, რაც კორპუს ლინგვისტიკას გამოიყენებენ ენის სწავლებისას. კეფი, მაქკარტი & კარტერი (Keeffe, McCarthy & Carter, 2007) აღწერენ ლინგვისტურ კორპუსს (მონაცემთა ბაზას) როგორც იარაღს, რომელიც გამოიყენება წერილობითი, ზეპირსიტყვიერი ან ელექტრონული ტექსტების შესაგროვებლად და შესანახად კომპიუტერში მომდევნო გამოყენებისთვის. წარსულში ეს ტერმინი გამოყენებულ იქნა ზოგადად უნიკალურ ავტორთა ხელოვნების ნიმუშთა შესწავლისთვის, მაგრამ ახლა, კომპიუტერის ხმარების აუცილებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა ავტორთა ტექსტების უდიდესი ნაწილი შესაძლოა შენახული და გაანალიზებული იქნეს სპეციალური კომპიუტერული პროგრამის დახმარებით.

ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება (DDL) შემოტანილია როგორც ენის სწავლების ახალი სტრატეგია, განსაკუთრებით ლექსიკის სწავლებასთან მიმართებაში ტიმ ჯონსის მიერ (Johns, 1991), რათა ტექსტის ანალიზის პროგრამები გამოეყენებინა ლინგვისტური კორპუსის შესასწავლად. კეფი, მაქკარტი & კარტერი (Keeffe, McCarthy & Carter, 2007, გვ. 8) აღწერენ მას როგორც გზას, რომელიც გეხმარებათ „იპოვოთ ყველა სიტყვისა და ფრაზის გამოვლინება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ენის სწავლებაში ინფორმაცია ლინგვისტურ კორპუსში წარმოდგენილია შესაბამისი

‘შეთანხმებული სტრიქონების’ (concordance lines) საშუალებით (Tribble & Jones, 1997), სადაც საძიებელი სიტყვა ან ფრაზა მოთავსებულია ყველა წინადადებაში ვერტიკალურად, მას ყოველთვის მოსდევს რამდენიმე სიტყვა მარჯვნიდან და მარცხნიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება ბევრი მეცნიერის მიერაა აღიარებული როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული, აღმოჩენაზე დამყარებული, დედუქციური და ა.შ., მცირედენ კვლევაა ჩატარებული მის პრაქტიკაში გამოყენებაზე.

ბოულტონმა (Boulton, 2007) მოიძია მხოლოდ ხუთი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლების (DDL) ეფექტურობის ემპირულად შეაფასებას ლექსიკის სწავლებას. ის აგრეთვე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ზემოთ აღნიშნული კვლევები განხორციელებულია მხოლოდ მაგისტრანტებისათვის. სწორედ ამიტომ ემპირულ კვლევას დისერტაციაში უკიდურესად აუცილებელი და მნიშვნელოვანი როლი აკისრია, რათა მან გამოარკვიოს, თუ რამდენად უწყობს ხელს ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება (DDL) ლექსიკის შესწავლას საშუალო სკოლებში. ყველა ეს ზემოთ თქმული ხაზს უსვამს საკვლევი თემის აქტუალობას.

მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკის სწავლება ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში უმჯობესდებოდა, მოსწავლეები მაინც განიცდიან სირთულეებს ლექსიკის სწავლაში და არც არიან მოტივირებულები იმუშაონ, რათა გადალახონ აღნიშნული სირთულეები. ამგვარად, სამეცნიერო კვლევისას წამოჭრილი პრობლემის გადაჭრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ლექსიკის სწავლების გაუმჯობესებისათვის. სხვა მწვავე პრობლემა, რომელიც ენის მასწავლებლების წინაშე დგას, არის ის, რომ ისინი ხშირად არ იცნობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებაც დაეხმარებათ მათ ან, თუ იცნობენ კიდევაც, ფიქრობენ, რომ ეს ტექნოლოგიები მეტად რთულია გამოსაყენებლად.

წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის მიზანი იყო, გამოგვერკვია:

- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება მოუტანს თუ არა სარგებელს ლექსიკის სწავლებას;
- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება უფრო ეფექტურია თუ ლექსიკის სწავლების ტრადიციული გზა;
- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება გაზრდის თუ არა მოსწავლეთა ავტონომიას;

- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება გაზრდის თუ არა მოსწავლეთა მოტივაციას;
- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება იქნება თუ არა გამოყენებული საკლასო გარემოს გარეთაც;
- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება ხელს შეუწყობს თუ არა ენის შემსწავლელებს, განვითარონ აღმოჩენის უნარები.

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგია:

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლების დანერგვა გააუმჯობესებს მოსწავლეთა ინგლისური ენის ლექსიკური უნარ-ჩვევების დონეს უფრო მეტად, ვიდრე ლექსიკის სწავლების ტრადიციული მეთოდი:

- ✓ ის გააუმჯობესებს მოსწავლეთა ტესტირების შედეგებს ლექსიკაში;
- ✓ მოსწავლეები გახდებიან უფრო ავტონომიურები, ვიდრე იყვნენ ახალი ლექსიკის ტრადიციულად დაუფლების პროცესში.
- ✓ მოსწავლეები უფრო მოტივირებულნი იქნებიან, გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი.

დისერტაციაში გამოყენებული კვლევის მეთოდებია:

- ✓ აღნიშნულ საკითხზე არსებული ლიტერატურის განხილვა და ანალიზი;
- ✓ ინტერვიუ;
- ✓ ექსპერიმენტი;
- ✓ ექსპერიმენტის შედეგად მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

რაოდენობრივი პარადიგმა

დისერტაციაში გამოყენებულია ე.წ. 'არა-ეკვივალენტური ექსპერიმენტული კვლევის დიზაინი' (Lynch, 2005), რომელიც დამყარებულია:

- ✓ პრეტესტზე (ერთი კვირით ადრე სწავლის დაწყებამდე)
- ✓ პოსტტესტზე, რომელიც სწავლების დასრულებისას ჩატარდა;
- ✓ გადავადებულ ტესტზე (სწავლის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ);
- ✓ ექსპერიმენტისა და ინტერვიუს შემდეგ მიღებულ მონაცემთა სტატისტიკური ანალიზზე.

თვისობრივი პარადიგმა

შემთხვევით შერჩეულ მოსწავლეთა ინტერვიუ:

- ✓ წინა-ინტერვიუ (ინტერვიუ სწავლის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე);
- ✓ შემდგომი ინტერვიუ (ინტერვიუ სწავლების დამთავრებისას).

სიახლე

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლება (DDL) პირველად შემოტანილია ტიმ ჯონსის (Johns, 1991) მიერ როგორც ენის სწავლების ახალი სტრატეგია, სადაც უპირატესობა ლინგვისტურ კორპუსს ენიჭება. მას შემდეგ ის გამოყენებულ იქნა ბევრი მკვლევარის მიერ. მას თან სდევდა როგორც დადებითი შეფასება, ისე კრიტიკა. დღემდე მცირედ არის ემპირულად შესწავლილი მისი უპირატესობა ლექსიკის სწავლების ტრადიციულ გზასთან მიმართებაში. უფრო მეტიც, რამდენადაც მე გამოვარკვие, ემპირული კვლევა არ ჩატარებულა საშუალო სკოლასთან მიმართებაში და აღნიშნული კვლევა იქნება პირველი, რომელიც დაკავშირებულია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლების (DDL) დანერგვასთან უგანდას საშუალო სკოლაში.

თეორიული მნიშვნელობა

კვლევის თეორიული ბაზისი შემდეგ იდეებზეა დამყარებული:

- ✓ ლექსიკის სწავლის სტრატეგიებსა და აქტივობებზე (მაგ., Richards, 1976; Oxford, 2001; Schmitt, 2010; Allen, 1983; Folse, 2004, Nation, 1990)
- ✓ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაზე (მაგ., Farrant, 1980, Richards and Renandya, 2002)
- ✓ კომპიუტერის დახმარებით ენის სწავლაზე თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით (მაგ., Levy, 1997, Beatty, 2003)
- ✓ ლინგვისტური კორპუსის, მათ შორის, ელექტრონული კორპუსის გამოყენების კვლევებზე (მაგ., Keefe, A., McCarthy, M., & Carter, K., 2007)
- ✓ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლების აუცილებლობასა და შესაბამისობის განვითარებაზე ენის სწავლისას (მაგ., Johns, 1991; Sinclair, 1991; Meyer, 2002).

დისერტაციასი შედარებულია ლექსიკის სწავლების სტრატეგიები მშობლიურ და მეორე / უცხოურ ენებში, აგრეთვე ლექსიკის სწავლების გზები და ის შესაძლებლობები, რომელსაც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გვთავაზობს იმისათვის, რომ ლექსიკის სწავლება უფრო ეფექტური გახდეს. აგრეთვე შესწავლილია ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (DDL) გამოყენებისას წარმოიშობა ლექსიკის სწავლა-სწავლების დროს. წარმოდგენილმა კვლევამ წვლილი შეიტანა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლების (DDL) საფეხურების ჩამოყალიბების, საფეხურების განვითარების და სავარჯიშოების დახვეწაში.

პრაქტიკული ღირებულება

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლებისას (DDL) გამოყენებული სავარჯიშოები, ისევე როგორც შეთავაზებული დეტალური რეკომენდაციები იმის ტაობაზე, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს, გამოიყენონ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა (DDL) ლექსიკის სწავლებისას წარმოდგენს წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევის მთავარ პრაქტიკულ ღირებულებას. მოსწავლეები, რომლებიც გამოიყენებენ ამ სტრატეგიას, ადვილად მიხვდებიან სიტყვის მნიშვნელობას როგორც კლასში, ისე მის გარეთაც, ისინი შეიარაღებულნი იქნებიან მობილური ელექტრონული მოწყობილობით და გამოიყენებენ DDL-ს, სადაც არ უნდა დასჭირდეთ ის. თუნდაც უცნობი სიტყვის მნიშვნელობა არ იქნას მოცემული ლექსიკონში ან თუ ლექსიკონში ამ სიტყვის უამრავი მნიშვნელობა იქნას მოცემული, რომელთა შორისაც ძნელია ადეკვატური მნიშვნელობის შერჩევა, მათ ეს სტრატეგია დაეხმარებათ, აარჩიონ სიტყვის ადეკვატური მნიშვნელობა კონტექსტიდან გამომდინარე.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ნაწილებისგან: შესავალი, სამი თავი, დასკვნა და დანართი. მასში შესულია 19 ცხრილი და 15 გრაფიკული გამოსახულება.

პირველი თავი. თეორიული ბაზა

პირველ თავში მიმოვიხილეთ მშობლიური ენის შეთვისების საფეხურები და გამოცდილება. მშობლიური ენის შემთხვევაში ენის შესწავლა თავდაპირველად იწყება შესაბამის გარემო პირობებში მოსმენით. ჩვილ ბავშვებს თავდაპირველად ესმით მშობლებისა თუ მომვლელების მეტყველება, შემდეგ ისმენენ მოთხრობებს წიგნებიდან

(Hart & Risley, 1995). ენის შემსწავლელის ლექსიკის ცოდნა ან კომპეტენცია მშობლიურ ენაზე უმჯობესდება თვიდან-თვემდე, წლიდან წლამდე, რადგან ცხოვრებისეული გამოცდილება და სხვადასხვა კონტექსტის გაგება ეხმარებათ მათ, ახალი ლექსიკა შეითვისონ სხვადასხვა ვითარებაში.

პირველ თავში ასევე მიმოხილულია ლექსიკის შესწავლის სტრატეგიები. ამას გარდა, მოცემულია გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის, თარგმნის მეთოდის, დასწავლის მეთოდის მოკლე ისტორიული მიმოხილვა ლექსიკის სწავლებასთან მიმართებაში.

ამ თავში დასმულია შეკითხვა: „რა ახდენს გავლენას ლექსიკის სწავლის სტრატეგიებზე“ და შესაძლო პასუხებიცაა გაცემული. განხილულია სხვადასხვა ფაქტორი, როგორცაა ენის შემსწავლელის:

- ოჯახის სოციო - ეკონომიკური სტატუსი;
- ოჯახის განათლების დონე
- იმ წიგნების სახეობა და რაოდენობა, რაც წაკითხული აქვთ მათ;
- ცხოვრებისეული გამოცდილება;
- განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ყოფნა;
- მიხვედრის / დასკვნის გაკეთების სტრატეგიები;
- ენობრივი კომუნიკაციის გამოცდილება;
- კულტურა.

თუ მშობლიურ ენაში უმეტესი ლექსიკა შესწავლილი ხდება შემთხვევით და ინტუიციურად, მეორე და განსაკუთრებით უცხოური ენის შესწავლისას მიზან-მიმართული სწავლა უზრუნველყოფს სწორ გაგებას და დამახსოვრებისთვის სიტყვის გამეორებას. ამავდროულად ლექსიკის შემხვევითი სწავლა-დამახსოვრება შინაგან მოტივაციას უწყობს ხელს (არსებობს საჭიროება, რომ კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა გაგებულ იქნას კომუნიკაციისთვის). მაშასადამე, ეს ორი მიდგომა უნდა გაერთიანდეს.

იმისათვის, რომ სიძნელეთა გადალახვა გაადვილდეს, მკვლევარებმა არაერთხელ სცადეს შეექმნათ მეორე /უცხოური ენის ლექსიკის სწავლის სტრატეგიები, როგორცაა ფუძისეული, მნემონიური, თემატური მიდგომა, ლექსიკონების გამოყენება და სხვა.

ამ თავში აგრეთვე განხილულია მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების როლი. ხაზგასმულია მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების გავლენა ლექსიკის სწავლების პროცესში.

პირველი თავი მოიცავს კომპიუტერის დახმარებით ენის შესწავლის თეორიულ საფუძვლებს, ისევე როგორც აქტივობათა სახეობებს, არეალს, უპირატესობებსა და სირთულეებს. კომპიუტერის დახმარებით ენის შესწავლისას კომპიუტერი არ არის მეთოდი, ის მხოლოდ იარაღია, რათა სწავლის პროცესი უფრო მისაწვდომი გახადოს. უფრო მეტიც, ენის შემსწავლელი იყენებს კომპიუტერს და შედეგად იუმჯობესებს ენის შესწავლის დონეს (Beatty, 2003).

კომპიუტერის დახმარებით ენის შესწავლას სხვადასხვა დადებითი მხარე აქვს:

- ის უზრუნველყოფს ავთენტურ შესაძლებლობას, გაუმჯობესდეს ენის შემსწავლელის წერის, მოსმენის, კითხვისა და საუბრის უნარ-ჩვევები;
- ენის შემსწავლეებს შეუძლიათ შეასრულონ დავალებები, გამოიკვლიონ და ისწავლონ პროექტების საშუალებით, ან წაიკითხოთ და მოისმინონ ის მასალა, რაც რეალურად აინტერესებთ.
- ენის შემსწავლეები უფრო მეტად არიან მოტივირებულები, რადგან იყენებენ ვიზუალურ მასალას.

კომპიუტერის დახმარებით ენის შესწავლას აქვს ფართო გამოყენება ენის შესწავლის პროცესში, ესაა სიმულაციები, თამაშები, ავთენტური ვიდეო, ინტერნეტი და მობილური ტელეფონები. ყოველ მათგანს დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია ენის შესწავლისას, რადგან ისინი სწავლის ფასილიტატორები ხდებიან. ისინი მოტივაციას უღვიძებენ ენის შემსწავლეებს, მათი დახმარებით მოსწავლეები ხალისით აკეთებენ სავარჯიშოებს.

კომპიუტერის დახმარებით ენის შესწავლას დადებითი მხარის გარდა უარყოფითი მხარეებიც აქვს . ესენია:

- ფსიქოლოგიური პრობლემები: ენის ზოგიერთ შემსწავლელს შესაძლოა არ ჰქონდეს კომპიუტერი, პლანშეტური კომპიუტერი, სმარტფონი და ა.შ. ეკონომიური შესაძლებლობების გამო. სწორედ ამიტომ ამან შესაძლოა ფსიქოლოგიურად უარყოფითად იმოქმედოს ენის შემსწავლეზე.
- პედაგოგიური პრობლემები: ზოგიერთ სასწავლო მასალა შესაძლოა არ აღმოჩნდეს ჩატვირთული ან ზოგი მასალა არ იყოს ხელმისაწვდომი კომპიუტერისთვის.
- ტექნიკური პრობლემები: შესაძლოა ზოგიერთ სკოლას არ ჰქონდეს კომპიუტერული ლაბორატორია, ან თუ ექნებათ, შესაძლოა კომპიუტერები ან სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა მწყობრიდან იყოს გამოსული.

პირველ თავში ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია ლინგვისტური კორპუსის შესახებ, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ გამოიყენებოდა იგი წარსულში და რა როლი აქვს მას

ამჟამად. აქვე განხილულია სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლების (DDL) მიდგომის თეორიული საფუძვლები.

რომ შევაჯამოთ:

ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლება (DDL) და ლინგვისტური კორპუსების (მონაცემთა ბაზების) გამოყენება ახალი სტრატეგიაა, რომელიც ხელს უწყობს ლექსიკის შესწავლას და უპირატესობას ანიჭებს ლექსიკის სწავლებისას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით სწავლებისას ენის შემსწავლელი კითხულობენ წინადადებას ელექტრონულ კორპუსში და ცდილობენ მიხვდნენ იმ სიტყვის მნიშვნელობას, რომელიც უნდათ, რომ ისწავლონ. უფრო მეტიც, ისინი ანალიზებენ სიტყვების წყობას წინადადებაში, სიტყვების გამოყენებას ავთენტურ კონტექსტში. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლება დიდ ავტონომიას აძლევს ენის შემსწავლელს (Tribble and Jones, 1997, Keeffe, McCarthy & Carter, 2007).

ამის მიუხედავად, ზოგიერთი მკვლევარი (Flowerdew, 1996; Lamy & Klarskov Mortensen, 2007; Granath, 2009) აკრიტიკებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლებას (DDL), რადგან

- ლინგვისტური კორპუსის ზომა (უშუალო კონტექსტი) ხანდახან ისეთი მცირეა, რომ რთულია მისი ანალიზი.
- მოსწავლეების ლინგვისტური ან ინტელექტუალური დონე შესაძლოა არ იყოს ლინგვისტური კორპუსის გამოყენებისთვის შესაფერისი.
- შესაძლოა, ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის გამოყენება იმდენად განსხვავებული აღმოჩნდეს, რომ ამან მისი მნიშვნელობის შესახებ დასკვნა რთული აღმოჩნდეს.
- შესაზლოა, წარმოიშვას ტექნიკური პრობლემები ლინგვისტური კორპუსის გამოყენებისას.

უმეტესი მკვლევარი ფიქრობს, რომ ზემოთ აღნიშნული უარყოფითი მხარეები ადვილად დაძლევადა რამოდენიმე საათიანი ტრენინგით, რომელიც სწორ ორიენტაციას მისცემს მასწავლებლებს. მაგალითად, სილეი და ტომფსონი (Sealey and Thompson, 2007) გვიჩვენებენ, რომ დაწყებითი სკოლის მოსწავლეებიც კი იყენებენ ლინგვისტური კორპუსის დადებით მხარეს თავიანთ მშობლიურ ენაში. უფრო მეტიც, ბერნარდინი (Bernardini, 2001, გვ. 243) ამტკიცებს, რომ „სირთულეების გადაჭარბებულად შეფასება არ უნდა მოხდეს, რადგან ენის შემსწავლელი ძალიან მალე ითვისებენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც საჭიროა მათთვის.“ ანალოგიურად, ბრეიერი (Breyer, 2006) ხაზს უსვამს იმას, რომ იმ

შემთხვევაში, თუ საკმარისი ტრენინგი იქნება ჩატარებული, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლება მარტივად იქნება შესათვისებელი.

მოკლედ, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ენის ნებისმიერი შემსწავლელის მიერ, თუ მას მივცემთ ავტონომიას თავად აღმოაჩინონ ენობრივი თავისებურებები და მიხვდნენ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას. დღეს-დღეობით მოსწავლეები ჩვეულებრივ ბედნიერნი არიან, როდესაც თანამედროვე ტექნოლოგია გამოყენებული სწავლის პროცესში. ამას გარდა, მოსწავლეებს თან დააქვთ ხოლმე „პორტატიული მასწავლებელი“ (მობილური ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც ცართულია ინტერნეტში და მოიცავს სათანადო პროგრამულ უზრუნველყოფას) როგორც საკლასო ოთახში, ისე მის გარეთ და იყენებენ მის დადებით თვისებას მარტივად ძალიან მცირე დროში.

მეორე თავი. ლექსიკის ეფექტური შესწავლა

მეორე თავში, ლექსიკის სწავლების სტრატეგიების შესახებ კვლევის გარდა, განხილულია ლექსიკის კლასიფიცირება (ტაქსონომიები). რომ შევაჯამოთ:

მას შედეგ, რაც განათლება მოსწავლეებზე ორიენტირებული გახდა და ენის შემსწავლელს ხსირად უხდებათ, დამოუკიდებლად ისწავლონ და გამოიცნონ სიტყვის მნიშვნელობა და მისი შესიტყვების უნარი, მეტად მნიშვნელოვანი გახდა, რომ გავიგოთ, თუ როგორ სწავლობენ ისინი ლექსიკას და რა ახდენს ლექსიკის შეთვისებაზე უარყოფით გავლენას.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლება არის ისეთი სტრატეგია, რომელიც მენტალურად ადეკვატურია საშუალო სკოლის (უფროსი კლასების) მოსწავლეებისთვის, რადგან მათ უკვე მიაღწიეს შემეცნებითი განვითარების ფორმალურ-ოპერაციულ დონეს. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლებით მოსწავლეები აღმოაჩინენ და სწავლობენ ახალ სიტყვებს და მათ უვითარდებათ ლინგვისტური კვლევის უნარები. იმისათვის, რომ მასწავლებლებმა ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შეზლონ, სწავლება ეფექტურად გამოიყენონ, საჭიროა მათ საკმარისი ინფორმაცია მივაწოდოთ ამ მიდგომის დადებით მხარეებზე, ვასწავლოთ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება და მრავალფეროვანი სავარჯიშოები, რომლებიც ამ მიზნითვის სეიძლება გამოიყენონ. ამის შემდეგ მასწავლებლები შეიმუშავენ საკუთარ სავარჯიშოებსაც, რათა მოსწავლეების სასწავლო გამოცდილება რეალურად ეფექტური და სწავლის პროცესი კი სასიამოვნო გახადონ.

საჭიროა, მოსწავლეებს განუავითარდეთ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლების უნარ-ჩვევები. ეს თავდაპირველად მასწავლებლის ზედამხედველობითა და ინსტრუქციების დახმარებით ხდება. მოსწავლეებს უვითარდებათ:

- სესაბამისი კომპიუტერული უნარ-ჩვევები,
- სიტყვის მნიშვნელობის მიხედვრის სტრატეგიებით.

ამისათვის მოსწავლეებმა შემდეგი საფეხურები უნდა გაიარონ:

- საფეხური, რომელშიც ჩართულია ინტეგრაცია;
- საფეხური, რომელშიც ჩართულია დამახსოვრების უნარ-ჩვევები;
- საფეხური, რომელშიც ჩართულია ენის გამოყენება;
- საფეხური, რომელშიც ჩართულია ენობრივი მასალის წარდგენა.

თავდაპირველად სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის შესწავლა უნდა მოხდეს მთლიანად მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, როგორც კლასის ერთიანი აქტივობა. შემდეგ უფრო მეტად მცოდნე მოსწავლეების ხელმძღვანელობით (იმ მოსწავლეების, ვინც უფრო კარგად აუღეს ალღო ახალ სტრატეგიას) წყვილებსა და მცირე ჯგუფებში. და ბოლოს, DDL გამოიყენება სრულად დამოუკიდებლად ჯერ საკლასო ოთახში და შემდეგ მის გარეთაც.

სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლებას აქვს შემდეგი დადებითი თვისებები:

- ავთენტური ენა;
- ტექნოლოგიების გამოყენება (რაც მოტივირებულს ხდის მოსწავლეებს);
- პრაქტიკა კლასში, სახლში და გარეთ სმარტფონების, პლანშეტური კომპიუტერის გამოყენებით, რომლებიც 'მასწავლებლის' როლში გამოდიან;
- უზრუნველყოფს ენის შემსწავლელის ავტონომიას და ინტელექტუალურ განვითარებას (შემეცნებითი სტრატეგიების გამოყენებას);
- შესაძლოა თანამშრომლობის უნარი განავითაროს.

ლექსიკონების, ელექტრონული ლექსიკონების და ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლების შედარებისას, ეს უკანასკნელი უკეთესია, რადგან ამ დროს:

- შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ სიტყვებისთვისა და მნიშვნელობებისთვის, რომლებიც არ არის მოცემული ლექსიკონებში;
- უზრუნველყოფს მოსწავლეთა მენტალურ განვითარებას და ამავე დროს ზრდის დამახსოვრების დონეს;
- სთავაზობს უფრო მეტ ინფორმაციას სიტყვათა შესიტყვების უნართან დაკავშირებით;

- გამოყენებულია არა მარტო ეფექტური რეცეპტორული, არამედ პროდუქტიული უნარ-ჩვევებიც.

როდესაც მოსწავლეები დახელოვნდებიან ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებაში, ისინი უფრო მეტად მოტივირებულნი ხდებიან და მიიღებენ კვალიფიციურ დახმარებას უსაზღვრო წყაროებიდან, რომლებიც არასოდეს ბრაზდება, არ იღლება და ამგვარად ქმნიან მოსწავლეებისთვის მეგობრულ საკლასო გარემოს.

მესამე თავი. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევა ორი ნაწილისგან შედგება: 'არაკვივალენტური' ტიპის ექსპერიმენტული კვლევა და წინა-საექსპერიმენტო და ექსპერიმენტის-შემდგომი ინტერვიუ.

ექსპერიმენტის მიზანი იყო, გაგვეჩვენა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას ექნებოდა თუ არა უფრო მეტი ეფექტურობა ენის შემსწავლელის ლექსიკის კომპეტენციის განვითარებაში შედარებით ტრადიციულ სწავლებასთან.

ინტერვიუს მიზანი იყო, გაგვეჩვენა სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება მოსწონდათ თუ არა მოსწავლეებს.

კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო ინტერვიუების და ექსპერიმენტის შედეგად მიღებულ მონაცემთა რაოდენობრივი და თვისობრივი სტატისტიკური ანალიზი.

ექსპერიმენტი ჩატარდა ერთ-ერთ კერძო ვაჟთა სკოლაში კამპალაში, უგანდაში მესამე სემესტრის დასაწყისში 2013-2014 სასწავლო წელს. უგანდას განათლების სისტემის სტრუქტურა შემდეგია: 7 წელი დაწყებითი განათლება, 6 წელი საშუალო განათლება, სადაც 4 წელი საშუალო განათლების პირველ საფეხურს და 2 წელი საშუალო განათლების მეორე საფეხურს უკავია; 3დან-5 წლამდე კი ეთმობა საშუალო განათლების-შემდგომ განათლებას. არსებული სისტემა ფუნქციონირებს 1960-იანი წლებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ყოველდღიურად საუბრობს უგანდას ტომთა ენებზე (ეს ენები ეკუთვნის ენათა შემდეგ ოჯახებს: ბანტუ და სუაჰილი ყველაზე გავრცელებულია მათ შორის, ნილოტური, ცენტრალური სუდანური და კულიაკი), ინგლისური ენა ფართოდაა გავრცელებული ქვეყანაში და ყველა სკოლაში საგანმანათლებლო ენადაა აღიარებული (Parry, 2000). მიუხედავად ამისა, ინგლისური ენის სტატუსი არის მეორე (საგანმანათლებლო ენასა) და უცხოური (ძალიან ცოტა ინგლისურად მოსაუბრე გარემოა სკოლის გარეთ) ენას შორის.

სამიზნე კლასად ავირჩიე მეათე კლასის მოსწავლეები, რადგან ისინი არ იმყოფებოდნენ ისე დატვირთულები, როგორც საშუალო სკოლის პირველი საფეხურის სხვა კლასის მოსწავლეები, რომლებიც ემზადებოდნენ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. მას შემდეგ, რაც სკოლის დირექტორისგან მივიღეთ ექსპერიმენტის ჩატარებაზე თანხმობა, 84 მეათეკლასელი მოსწავლე შემთხვევითი პრინციპით გადანაწილდა ოთხ კლასში, და ასევე შემთხვევითი პრინციპით დაერქვათ ორ ჯგუფს საექსპერიმენტო და ორს ტრადიციული სწავლების კლასი.

ზოგიერთმა მოსწავლემ თავი ვერ გაართვა გაკვეთილებს და ტესტებს, ასე რომ 12 მოსწავლე მოაკლდა ექსპერიმენტს. საბოლოოდ, შედეგების ანალიზისას ფინალური რაოდენობა საექსპერიმენტო კლასებში იყო 36 მოსწავლე და საკონტროლო კლასებშიც ასევე 36 მოსწავლე.

50 სიტყვიდან ამორჩეული იყო 32 სიტყვა წინასწარი ტესტირებისთვის, რომელთა მნიშვნელობაც მოსწავლეების 60%-მა არ იცოდა. 8 სიტყვა ისწავლებოდა ყოველ მეცადინეობაზე, თითო მეცადინეობა გადანაწილებული იყო ორ გაკვეთილზე, რომლებიც მთლიანად 80 წუთი გრძელდებოდა.

ექსპერიმენტის ხანგრძლივობა იყო სამი თვე და ამ ხნის განმავლობაში ორივე, საექსპერიმენტო და საკონტროლო, ჯგუფებმა გაიარეს წინასწარი და ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტირება. ამას გარდა, მათ ჩაუტარდათ ტესტი ექსპერიმენტის დასრულებიდან ორ კვირაში, რათა გაანალიზებულიყო, თუ რამდენი ხანი დარჩა ნასწავლი სიტყვები მოსწავლეთა მეხსიერებაში. ტესტი შედგებოდა მრავალიდან ერთის არჩევის სავარჯიშოებისგან, სიტყვების შეწყვილებისგან მათ განმარტებებთან, ინტერპრეტირება /სინონიმების შერჩევისა და სიტყვების კონტექსტში გამოყენებისაგან. მთელი ტესტი შეფასდა 100-ქულიანი სკალით.

საკონტროლო - ტრადიციული ინსტრუქციის - კლასისთვის (თავდაპირველად 42 მოსწავლე) შეთავაზებულ იქნა ლექსიკის შესწავლის ტრადიციული სასწავლო აქტივობები. მოსწავლეები შეისწავლიდნენ მიზნობრივ 8 სიტყვას ყოველ 80 წუთიანი სწავლებისას. გამოყენებული იქნა ლექსიკის ტრადიციული შესწავლის სხვადასხვა სავარჯიშო. მოსწავლეებს უწევდათ თითო მეცადინეობაზე რვა სიტყვა ესწავლათ, თითო მეცადინეობა გრძელდება 80 წუთი, სულ 32 სიტყვა იქნა შესწავლილი ოთხ მეცადინეობაზე.

მოსწავლეთა მეორე ჯგუფშიც თავდაპირველად 42 მოსწავლე იყო. ექსპერიმენტულ კლასში მათი რიცხვი შემცირდა 36-მდე. ექსპერიმენტულ კლასში მოსწავლეები

ასრულებდნენ სავარჯიშოებს ლექსიკის სწავლისას ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.

ყოველი მეცადინეობისთვის მოსწავლეთათვის მომზადებული და მიწოდებული იქნა ლექსიკის სპეციალური პროგრამული სწავლების სავარჯიშოები, რათა მომხდარიყო რვა სიტყვის შესწავლა (32 სიტყვა ოთხ მეცადინეობაზე). მოსწავლეებს მეცადინეობა უტარდებოდათ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც შეერთებული იყო ინტერნეტთან. მათ სთხოვდნენ შესულიყვნენ ვებ გვერდზე URL "ბრიტანული ეროვნული კორპუსი" (<http://www.Hatcorp.ox.ac.uk/>).

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შევიდოდნენ ვებ გვერდზე, მათ სთხოვდნენ ჩაეწერათ შესასწავლ სიტყვები ერთმანეთის მიყოლებით „look up“ ველში.
- ამის შემდეგ მათ სთხოვდნენ წაეკითხათ პირველი 10 წინადადება ხუთ წუთში და ეცადათ, გამოეცნოთ სიტყვის მნიშვნელობა ყოველ წინადადებაში.
- როდესაც მოსწავლეები დაასრულებდნენ კითხვას, მათ მოუწოდებდნენ, რომ წაეკითხათ დამატებით კიდევ ათი წინადადება, ფოკუსირება მოეხდინათ შესასწავლი სიტყვის მნიშვნელობაზე და მიმხვდარიყვნენ მის მნიშვნელობას.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მიხვდებდნენ სიტყვის მნიშვნელობას, ისინი ეკითხებოდნენ თავის ჯგუფელებს და არკვევდნენ, თუ რა ვარიანტი ჰქონდათ ამორჩეული მათ. ისინი აგრეთვე არკვევდნენ, თუ როგორ გამოიცნეს სიტყვა. სანამ ისინი მსჯელობდნენ, მასწავლებელი დადიოდა მოსწავლეების გარშემო და უსმენდა მათ.
- როგორც კი ყველა მოსწავლე დარწმუნდებოდა თავისი არჩევანის სისწორეში, ისინი უზიარებდნენ თავის აზრს მასწავლებელს. მოსწავლეთა უკუგების შემდეგ მასწავლებელი უზიარებდათ მათ სიტყვის მნიშვნელობას.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ისწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ემუშავათ, რა პროცედურას უნდა მიჰყოლოდნენ, მათ სთხოვდნენ, რომ მეორე შესასწავლი სიტყვის მნიშვნელობაზე ისევე ემუშავათ დამოუკიდებლად. მათ მიეცათ 10 წუთი იმისათვის, რომ შესასწავლი სიტყვის მნიშვნელობა გამოეცნოთ იგივე მეთოდით. მათ აგრეთვე ეთხოვათ კიდევ ორი შესასწავლი სიტყვის მნიშვნელობის პოვნა იგივე მეთოდით.
- დარჩენილი 4 სიტყვა ეძლეოდათ საშინაო დავალებად. მოსწავლეებს უნდა ეპოვათ ეს სიტყვები იგივე მეთოდით.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა გაიარეს ზემოთ აღნიშნული პროცედურა, მიეცათ ახალი საიტი „ ინგლისური ენის შესიტყვებების (concordance) კორპუსი“, ასე რომ

მათ ახლა წინადადების სტრუქტურა უნდა გაეანალიზებინათ შესასწავლი სიტყვებით, ისინი მოიხმარდნენ URL “ <http://www.lex tutor.ca/conc/eng/>” საიტს.

- მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შევიდნენ ამ ვებ გვერდზე, მათ სთხოვეს შესასწავლი სიტყვები ჩაეწერათ ერთმანეთის მიმდევრობით საძიებო ველში.
- როდესაც შესასწავლი სიტყვა ჩაწერილ იქნა საძიებო ველში, მოსწავლეებს სთხოვეს აერჩიათ ლიგვისტური კორპუსი საძიებო ველის გვერდითი ველიდან. მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით სიიდან აირჩიეს ერთი ან რამოდენიმე კორპუსი.
- როგორც კი მოსწავლეებმა ჩაწერეს სიტყვა, მათ დაინახეს რამდენიმე წინადადება, ჩაწერილი “შეთანხმებული სტრიქონების” (concordance lines) სტილში, სადაც შესასწავლი სიტყვა სიაში მოთავსებული იყო ვერტიკალურად, როგორც ნაჩვენებია გრაფიკულ გამოსახულებაში #1-ში ქვემოთ.

გამოსახულება 1. თანმიმდევრული ხაზების ნიმუში სიტყვა „ დამსკდარი-“ სთვის

y nailed him up Ah what pain His lips are PARCHED with thirst and they mock him still
eeds before the ground becomes completely PARCHED To this class belong many of our cl
a most unpleasant manner Her tongue felt PARCHED for a cool drink She came upon him
What do you say Don Esteban moistened his PARCHED lips and with the back of his hand
up boys Can you not see the gentleman is PARCHED Mayhew I have to get back They all
u like a drink B I d love some coffee I m PARCHED or B No thanks I ll have some coffi
on the phone And I m Tegan Walker and I m PARCHED Could I get a water Of course Um f
st around Bombay across immense tracts of PARCHED and sun scorched table land where
faster fell the rain How lovely cried the PARCHED flowers as they raised their droop:

- მას შემდეგ, რაც “შეთანხმებული სტრიქონები” (concordance lines) გამოჩნდა, რომელიც შეიცავდა შესასწავლ სიტყვას და მისგან მინიმუმ 2-3 სიტყვას მარცხნივ და 2-3 სიტყვას მარჯვნივ, მოსწავლეებს სთხოვეს წაეკითხათ წინადადებები და ეცადათ გაეანალიზებინათ სტრუქტურა 5 წუთის განმავლობაში ჩუმად. მას შემდეგ, რაც მიცემული დრო დასრულდა, მათ უთხრეს, რომ შეედარებინათ საკუთარი შედეგები იმ მოსწავლესთან, რომელიც მათ გვერდით იჯდა. მასწავლებელი აკვირდებოდა და უსმენდა მათ განხილვას.
- როდესაც მოსწავლეებმა დაასრულეს განხილვა, თუ კი აზრთა გაზიარების დროს არასწორ დასკვნისაკენ მიდიოდნენ, მასწავლებელი სწორ პასუხს აწვდიდათ.

- მომდევნო სავარჯიშოში, რათა განმტკიცებულ ყოფილიყო შესასწავლი სიტყვის გაგება, მოსწავლეებმა შესაბამის შესიტყვებებს 2-3-ჯერ ხმამაღლა იმეორებდნენ.
- ✓ His lips are **parched** with thirst
- ✓ Don Esteban moistened **his parched lips**
- შემდეგ მასწავლებელმა ხმამაღლა წაუკითხა გამუქებული სიტყვები, მოსწავლეებმა კი გაიმეორეს ხმამაღლა ჯერ ჯგუფურად, შემდეგ ინდივიდუალურად, რათა კარგად შეეთვისებინათ სიტყვა.
- მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა ისწავლეს, თუ როგორ ემუშავათ სიტყვასთან და როგორ გამოეყენებინათ ზემოთ აღნიშნული მეთოდი, მათ სთხოვეს გაეანალიზებინათ მეორე შესასწავლი სიტყვა იგივე მეთოდით დამოუკიდებლად. მათ ამისათვის 10 წუთი მიეცათ.
- ამ სავარჯიშოს შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეს კიდევ ორი შესასწავლი სიტყვის ანალიზის გაკეთება დამოუკიდებლად იგივე მეთოდით.
- მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს შეესრულებინათ სავარჯიშო: გამოტოვებულ ადგილებში ჩაესვათ სიტყვები და დაეწერათ წინადადებები, სადაც იქნებოდა შესასწავლი სიტყვები და წაეკითხათ ისინი ხმამაღლა კლასისთვის.
- გამოყენებულ იქნა ლექსიკაზე ფოკუსირებული სასაუბრო სავარჯიშოები.
- დარჩენილი 4 სიტყვა მიცემულ იქნა საშინაო დავალებად, რათა გაეანალიზებინათ მათი სესიტყვების უნარი ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით და ჩაეწერათ გაკეთებული დასკვნები.

დროთა განმავლობაში მოსწავლეები უკეთ ხვდებოდნენ დამოუკიდებლად ლექსიკის მნიშვნელობას სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. თუ პირველი ოთხი კვირის განმავლობაში მოსწავლეები მუშაობდნენ მთელ კლასთან ერთად, მოგვიანებით ისინი მუშაობას იწყებდნენ წყვილებად და პატარა ჯგუფებად, პარალელურად მასწავლებელი ეხმარებოდათ მათ საჭიროების და მიხედვით.

ექსპერიმენტის დაწყებამდე ექვს მოსწავლეს ჩაუტარდა ინტერვიუ. ამ ექვსი მოსწავლეიდან 3 იყო ექსპერიმენტული ჯგუფიდან, სამი კი საკონტროლო ჯგუფიდან. ამ ინტერვიუთი გვინდოდა გამოგვეჩვენა მათი ლექსიკის სწავლის მოტივაციის დონე და ჩვენ კვლევასი თვისობრივი ასპექტიც დაგვემატებინა. არჩეულმა მოსწავლეებმა თანხმობა განაცხადეს ინტერვიუს მოცემაზე.

ექსპერიმენტის შემდგომ, იმისათვის, რომ გაგვეგო მოსწავლეთა დამოკიდებულება ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების მიმართ და გამოყენებული ლექსიკური სავარჯიშოების მიმართ, ექსპერიმენტის დასრულების შემდეგაც ჩატარდა კიდევ ერთი ინტერვიუ იგივე მოსწავლეებთან. ექსპერიმენტული

ჯგუფის სტუდენტებისთვის რვა წინა-საექსპერიმენტო ინტერვიუში დასმულ შეკითხვას დაემატა ხუთი შეკითხვა.


აღნიშნული თავი წარმოადგენს სხვადასხვა სწავლების მეთოდის ეფექტურობის ანალიზს, რომელიც გაზომილ იქნა ორივე შემთხვევაში წინა-საექსპერიმენტო ტესტით, ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტით და გადავადებული ტესტით, ასევე ინტერვიუს პროცედურის გამოყენებით.

შედეგებმა გვიჩვენა, რომ ექსპერიმენტის დაწყებამდე ტესტის საშუალო ქულები ერთმანეთთან ახლოს იდგა საკონტროლო (CG) (M=23,44) და ექსპერიმენტულ (EG) (M=24,83) ჯგუფებისთვის, როგორც ეს ჩანს ცხრილ # 1-სა და გრაფიკულ გამოსახულება # 2-ში. სტანდარტული გადახრებიც აგრეთვე ახლო-ახლოს დგას ერთმანეთთან, მაგრამ საკმაოდ მაღალია (ეს აჩვენებს ჯგუფების ლექსიკური უნარ-ჩვევების დონის არაერთგვაროვანებას).

ცხრილი 1. წინასაექსპერიმენტო, ექსპერიმენტის-შენდგომ და გადავადებული ტესტების ქულები (100-ქულიდან) საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფებისთვის

		წინა-საექსპერიმენტო ტესტირება	ექსპერიმენტის-შემდგომი ტესტირება	გადავადებული ტესტირება
საკონტროლო ჯგუფი	საშუალო ქულა	23.44	55.90	45.75
	მოსწავლეთა რაოდენობა	36	36	36
	სტანდარტული გადახრა	11.14284	17.22646	21.3411
საექსპერიმენტო ჯგუფი	საშუალო ქულა	24.83	65.19	58.77
	მოსწავლეთა რაოდენობა	36	36	36
	სტანდარტული გადახრა	13.3619	14.13726	17.4043
სულ	მოსწავლეთა რაოდენობა	72	72	72

გამოსხულება 2. წინასაექსპერიმენტო, ექსპერიმენტის-შენდგომ და გადავადებული ტესტების ქულები (100-ქულიდან) საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფებისთვის



საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეთა ქულები გაიზარდა 23,44-დან 55,90-მდე ექსპერიმენტის დასრულებისთანავე, მაგრამ შემცირდა 45,75-მდე ექსპერიმენტის მოგვიანებით ჩატარებული ტესტირების შედეგად. ლექსიკური უნარ-ჩვევების დონის საბოლოო ზრდა დაფიქსირდა 22,31 ერთეულით.

მეორეს მხრივ, ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეების ქულები 24,83-იდან გაიზარდა 65,19-მდე ექსპერიმენტის დასრულებისთანავე, მაგრამ შემცირდა 58,77-მდე მოგვიანებით ჩატარებული ტესტირების შედეგად. საბოლოო ზრდა დაფიქსირდა 33,94, რომელიც უდავოდ მეტია და ამან აშკარა გახადა ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების მიდგომის უფრო მაღალი ეფექტურობა ლექსიკის სწავლებისას, ვიდრე ტრადიციული მიდგომით.

ექსპერიმენტის შემდეგ მოგვიანებით ჩატარებული ტესტირების შედეგების შემცირება ორივე ჯგუფში აიხსნება იმით, რომ ნასწავლის ნაწილობრივი დავიწყება ბუნებრივი პროცესია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტესტირების შედეგების შემცირება ექსპერიმენტის დასრულებისას და მოგვიანებით ჩატარებულ ტესტირების შედეგებს შორის საკონტროლო ჯგუფში საგრძნობლად მაღალია (10,15-ით), ხოლო ექსპერიმენტულ

ჯგუფში კი ნაკლები (6,39-ით), რაც გვიჩვენებს, რომ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით მიღებულ შედეგებს გრძელვადიანი შედეგებიც უკეთესი აქვს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ექსპერიმენტულ ჯგუფში შესწავლილი და დამახსოვრებული მიზნობრივი სიტყვები მეტია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში.

ცხრილი 2. წინასაექსპერიმენტო, ექსპერიმენტის-შენდგომ და გადავადებული ტესტების ქულები (100-ქულიდან) საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფებისთვის

(ANOVA)

		კვადრატების ჯამი	df	საშუალოს კვადრატები	F	მნიშვნე ლობა
ექსპერიმენტამდელი ტესტი	ჯგუფებს შორის	34,722	1	34,722	0,229	0,633
	ჯგუფებში	10594,618	70	151,352		
	სულ	10629,340	71			
ექსპერიმენტის- შემდგომი ტესტი	ჯგუფებს შორის	1552,870	1	1552,870	6,254	0,015
	ჯგუფებში	17381,456	70	248,307		
	სულ	18934,326	71			
გადავადებული ტესტი	ჯგუფებს შორის	3051,757	1	3051,757	8,048	0,006
	ჯგუფებში	26542,426	70	379.177		
	სულ	29594.184	71			

უფრო მეტიც, ANOVA ტესტის (სხვაობის ანალიზი, სტატისტიკური ტესტი) დახმარებით ცხრილ #2-ში ნათლად ჩანს, რომ საგრძნობი განსხვავება არ არის საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის ექსპერიმენტამდელ ტესტში ($F(1,71) = 0,229$, $P = 0,633$), მაშინ, როცა ექსპერიმენტის-შემდგომ ტესტში ($F(1,71) = 6,252$, $P = 0,015$) ექსპერიმენტულმა ჯგუფმა უკეთესად გაართვა თავი საკონტროლოსთან შედარებით, ისევე, როგორც გადავადებულ ტესტში $F(1,71) = 8,048$, $P = 0,006$).

შედეგებიდან ჩანს, რომ ორივე ჯგუფს გაეზარდა სიტყვის გამოცნობის უნარი ტესტში, მაგრამ ეს ზრდა უფრო საგრძნობი იყო ექსპერიმენტულ ჯგუფში. ეს განსხვავება სტატისტიკურადაც შესამჩნევია. მიღებულმა შედეგებმა გაამყარა კვლევის ჰიპოთეზა, რომ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება არის მეტად ეფექტური ლექსიკის შესწავლისას, ვიდრე ტრადიციული სწავლების გამოყენებისას. თვისობრივი კვლევაც გამოვიყენეთ, შედეგების სირრმისა და საიმედოობის მიზნით. ამისათვის შევადარეთ ერთმანეთს ექსპერიმენტამდელი და ექსპერიმენტის-შემდგომი ინტერვიუები.

წინა-ექსპერიმენტულმა ინტერვიუს შეკითხვებმა გამოარკვიეს, რომ თითქმის ყველა მოსწავლე სიტყვის მნიშვნელობას სწავლობდა ინტერნეტის და ონლაინ ლექსიკონების დახმარებით. რაც შეეხება ლექსიკონების გამოყენებას, უმეტესმა მოსწავლემ გვიპასუხა, რომ ძალიან რთული იყო მათთვის უცნობი სიტყვის ლექსიკონში მოძიება, რადგან პროცესს დიდი დრო მიჰქონდა. ამას გარდა, რთული იყო მოეძიებინათ სწორედ შესასწავლი სიტყვა, რადგან ზოგიერთ ლექსიკონს შეზღუდული მოცულობა ჰქონდა. მეორეს მხრივ, სხვა შეკითხვამ გამოარკვია, რომ მოსწავლეებისთვის უმჯობესი იყო მიმხვდარიყვნენ სიტყვის მნიშვნელობას კონტექსტიდან და, თუ ვერ მოახერხებდნენ ამას კონტექსტით, მას შემდეგ მოიძიებდნენ ინტერნეტში.

ექსპერიმენტამდელმა ინტერვიუმ აგრეთვე აჩვენა, რომ მოსწავლეები მზად იყვნენ ესწავლათ და გამოეყენებინათ სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა ლექსიკის შესწავლისას როგორც კლასში, ასევე მის გარეთაც, რადგან მათ მოსწონთ, როდესაც დამოუკიდებლად მუშაობენ და გამოიყენებენ კომპიუტერს. ისინი აგრეთვე მეტად კმაყოფილნი იყვნენ ტექნოლოგიების ინტეგრირებით სასწავლო პროცესთან. უფრო მეტიც, მათ უფრო მეტად სურდათ საკუთარი პოტენციალის გამოყენება და ლექსიკის დამოუკიდებლად წავლა, ვიდრე მასწავლებლის ზემოქმედება.

საკონტროლო და ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს როდესაც ისევ დაუსვეს იგივე შეკითხვები სწავლასთან დაკავშირებით, რაც ექსპერიმენტამდელ ინტერვიუში, საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეებმა თითქმის იგივე პასუხები გასცეს, რაც პირველი ინტერვიუს დროს, მაგრამ ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს შეეცვალათ საკუთარი დამოკიდებულება ლექსიკის სწავლის მეთოდებთან მიმართებაში.

ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეებს ასევე დამატებითი ხუთი შეკითხვით მიმართეს. პირველი მათგანი ეხებოდა მათი დამოკიდებულების გამორკვევას სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (DDL) ლექსიკის სწავლების მიმართ. პასუხები ყველა დადებითი იყო. მათ გამოხატეს თავისი დამოკიდებულება, რომ ლექსიკის სწავლების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება (DDL) იყო კომფორტული, სასიამოვნო და სახალისო მიდგომა, რადგან მასში ჩართული იყო

ტექნოლოგიები. ინტერვიუს პასუხებმა აგრეთვე გვიჩვენეს, რომ სიტყვების მნიშვნელობის შესწავლა ლინგვისტური ელექტრონული ბაზების გამოყენებით ხელს უწყობს ინდუქციურ სწავლასა და ავტონომიურობას. მოსწავლეთა ავტონომიურობა და მოტივაცია გაიზარდა, ეს დადასტურდა ინტერვიუს შედეგების გაანალიზებისას.

დასკვნა

1. ლექსიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახალი ენის შესწავლაში. სწორედ ამიტომ ლექსიკის სწავლება მეორე / უცხოენოვანი მოსწავლეებისათვის ძირითად სიძნელეს წარმოადგენს მასწავლებლებისათვის. ეს პრობლემა რომ გადაილახოს, სწავლის და სწავლების უფრო თანამედროვე და ეფექტური მეთოდები და სტრატეგიები უნდა იქნას გამოკვლეული და თუ წარმატებულია, მაშინ გამოყენებულიც.
2. მშობლიურ ენაში, ჩვილები ახალ სიტყვებს სწავლობენ მოსმენით და მათი სწავლის მოტივაცია ისეთივე ბუნებრივი მოთხოვნაა, როგორც სუნთქვა, რადგან ამ პროცესს მიჰყავს ისინი იმ კომუნიკაციამდე, რომელიც მყარდება ბავშვსა და უფროსებს შორის. რაც შეეხება მეორე და განსაკუთრებით უცხოური ენის შესწავლას, ამ დროს არ არსებობს ასეთი ბუნებრივი მოტივაცია და მასწავლებლის ამოცანაა, გააღვივის მოსწავლეების მოტივაცია. ლექსიკის სწავლების ტრადიციული მეთოდები გარკვეულწილად ეფექტურია, მაგრამ, რადგან ისინი მაინც მასწავლებელზეა ორიენტირებული, საბოლოოდ ისინი ძალიან ეფექტურად ვერ ჩაითვლება.
3. ლექსიკის სწავლის სტრატეგიები, სადაც ტექნოლოგიებია ჩართული, ეხმარებათ მოსწავლეებს შექმნან მეორე ენის /უცხო ენის სიტყვათა მარაგი. თუ შევადარებთ უცხოური ენის სწავლების ძველ მეთოდებს (გრამატიკულ-მთარგმნელობითს, პირდაპირს, აუდიო-ლინგვურს) და ფსიქოლოგიურ თეორიებს (ბიჰევიორიზმი), რომლებიც იყენებდნენ მექანიკურ დამახსოვრებას, თანამედროვე მეთოდები (კომუნიკაციური სწავლება) და ფსიქოლოგიური (შემეცნებითი) თეორიები ხაზს უსვამენ უფრო მაღალი დონის შემეცნებითი სტრატეგიების გამოყენებასა და სწავლების ავტონომიურობას. თუ ამ მიზნით მოსწავლე გამოიყენებს სიტყვის წარმოების მოდელების ცოდნას, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ასევე კონტექსტუალურ ანალიზს, ეს დაეხმარება მას, დაიმახსოვროს და საჭიროების შემთხვევაში გაიხსენოს სიტყვები და მათი სემანტიკა, აგრეთვე მათი შესიტყვების უნარი.
4. ამ ბოლო რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში ტექნოლოგიები, კომპიუტერი და მსგავსი ტექნიკა სწრაფად ვითარდება, ამან გამოიწვია ის, რომ დღეს ისინი ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. დღევანდელი მოსწავლეები უფრო სხვანაირად სწავლობენ, ვიდრე წინა თაობა. ისინი არ არიან კმაყოფილნი, როდესაც

კომპიუტერი და მობილური ტექნიკა, განსაკუთრებით, ინტერაქციული პროგრამული უზრუნველყოფა, არ არის ჩართული სასწავლო პროცესში.

5. კორპუს ლინგვისტიკა მოიცავს როგორც წერილობით, ისე სასაუბრო ტექსტებსაც. ის ეხმარება ლექსიკოგრაფებს, შექმნან ახალი ლექსიკონები, ლინგვისტებს -შეისწავლონ ავტორთა სტილი, ისევე როგორც სხვადასხვა ფუნქციურ სტილთა ზოგადი სპეციფიკა. კორპუს ლინგვისტიკამ დაიწყო განვითარება უფრო სწრაფად მას შემდეგ, რაც კომპიუტერები შემოვიდა ლინგვისტურ მონაცემთა დამუშავების პროცესში. ახლა უკვე მასში თავმოყრილია მდიდარი ინფორმაცია, ათასობით ავთენტური წერილობითი და ზეპირი ტექსტები. რასაც ადრე წლები სჭირდებოდა, დღეს ამ პროგრამული უზრუნველყოფით მხოლოდ წუთები სჭირდება. ამჟამად კორპუს ლინგვისტიკას განათლების მიმართულებითაც იყენებენ. ლინგვისტური კვლევითი უნარ-ჩვევების ქონის გარეშეც კი მოსწავლეს შეუძლია განიცადოს ამაღელვებელი გამოცდილება გახდეს 'ენის მკვლევარი' და გამოიყენოს სხვადასხვა ლინგვისტური კორპუსი, რათა მიხვდეს უცნობი სიტყვის მნიშვნელობას ან გაეცნოს მის შესიტყვების უნარს.

6. როგორი კარგი ხარისხის ლექსიკონიც გინდა იყოს, მასში ვერ იქნება შესული ყველა სიტყვა, რაც ენაში მოიპოვება, რადგან ლექსიკა დღეს სწრაფად მდიდრდება, რათა დაეწიოს სწრაფად განვითარებად ცხოვრებას. მოსწავლეებს მასწავლებელი ყველთვის არ ყავთ გვერდით, რომ დაეხმაროს უცნობი სიტყვების მნიშვნელობის გაგებაში, და დრო და დრო ვერც ლექსიკონი ეხმარებათ მათ. სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ლექსიკის სწავლის მიდგომა კი საშუალებას აძლევს ენის შემსწავლელებს, გამოიყენონ უფასო მონაცემთა ბაზები ინტერნეტიდან დამოუკიდებლად. ლინგვისტური კორპუსის გამოყენებისას მოსწავლეებს შეუძლიათ წაიკითხონ მთელი წინადადებები ან მისი ფრაგმენტები (მინიმუმ 2-3 სიტყვა უცნობი სიტყვების მარჯვნივ და მარცხნივ) და გამოიყენონ დასკვნის გაკეთების სტრატეგიები. ამგვარად ისინი ხვდებიან სიტყვის მნიშვნელობას და სწავლობენ მის შესიტყვების უნარს.

7. ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (DDL) გამოყენება ხელს უწყობს:

- ავტონომიურობისა და ცნობისმოყვარეობის განვითარებას;
- ლექსიკის დამახსოვრებას მისი შემთხვევით გამოვლენის გამო (ისე, როგორც ჩვენ მშობლიური ენის სეთვისებისას ვაკეთებთ);
- ლექსიკის დამახსოვრებას (მრავალი გამოვლენის საშუალებით);
- ინდუქციურ სწავლას (მაგალითიდან მნიშვნელობამდე);
- მაღალი დონის აზროვნების განვითარებას (ლექსიკის შესწავლასა და მნიშვნელობის გამორკვევის სტრატეგიების სრულყოფას);

- სიტყვის მნიშვნელობის გარკვევას და მასთან საქმის ქონას სხვადასხვა კონტექსტში;
- ლექსიკის შესიტყვების ცოდნას;
- ენის შემსწავლელის თავდაჯერებულობისა და მოტივაციის ზრდას.

8. მობილური მოწყობილობების დახმარებით მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დაეუფლებიან სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებას, ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების სტრატეგიის ჩართვა სწავლის პროცესში შესაძლებელი გახდება როგორც კლასში, ასევე მის გარეთაც, და ეს მობილური მოწყობილობა ხდება ლექსიკის შემსწავლელთა დამხმარე მოწყობილობა ყველგან, სადაც ინტერნეტია ხელმისაწვდომი.

9. საფეხურები, რომლებიც ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით სწავლებისას გასავლელია, არის:

- ტრენინგი (მოსწავლეები ეუფლებიან ტექნოლოგიის გამოყენებას)
- განხორციელება (მოსწავლეები არკვევენ სიტყვების მნიშვნელობას DDL-ის გამოყენებით)
- დედუქცია (მოსწავლეები ეცნობიან ბევრ მაგალითს, რათა მიხვდნენ სიტყვის მნიშვნელობას)
- თანამშრომლობა (მოსწავლეები იზიარებენ მიხვედრის სტრატეგიებსა და მოპოვებულ მნიშვნელობებს)
- შეფასება (მოსწავლეები ირებენ მასწავლებლისგან უკუკავშირს - იმის ინფორმაციას, თუ რამდენად სწორად გამოიციენ სიტყვის მნიშვნელობა)

10. კლასში და საშინაო დავალების შესრულებისას გამოსაყენებელი DDL აქტივობები შემდეგია:

- ტექსტის კითხვისას იმ უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა, რასაც წააწყდებიან.
- ორი სვეტიდან სინონიმთა შეწყვილება, თუ ყველა / რამოდენიმე სიტყვაა უცნობი, DDL-ის გამოყენება დაეხმარებათ მათ სიტყვის მნიშვნელობის პოვნაში.
- გამოყენებულ სიტყვებს შორის ტიპიური შესიტყვებების / სტრუქტურების შედგენა; დახმარებას DDL გაუწევთ.
- სინონიმების მსგავსების და განსხვავების გამორკვევა (მსგავსება და განსხვავება შეეხება როგორც მნიშვნელობას, ისე შესიტყვების უნარს).

- ყველა ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებში ჯგუფური შეჯირბეები.

11. ჩამოყალიბებული იყო ჰიპოთეზა, რომ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (DDL) გამოყენების შემთხვევაში ენის შემსწავლელები გაიუმჯობესებენ ლექსიკურ უნარ-ჩვევებს უფრო ეფექტურად, ვიდრე ტრადიციული სწავლების შემთხვევაში. მოსწავლეთა უნარ-ჩვევები გაზომილი იქნა ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ გამოყენებული პოსტ-ტესტებისა და გადავადებული ტესტების მეშვეობით. რაოდენობრივმა შედეგებმა დაგვანახა, რომ ორივე ჯგუფმა (საკონტროლო და ექსპერიმენტული) გაიუმჯობესა საშუალო მაჩვენებელი, მაგრამ იმ ჯგუფმა, რომელმაც ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენა (ექსპერიმენტული ჯგუფი), უკეთესი შედეგი აჩვენა, რამაც დაადასტურა ჩვენი პირველი ჰიპოთეზა. ამ შედეგებმა აგრეთვე დაადასტურა ზოგიერთი ადრე ჩატარებული კვლევის შედეგებიც (მაგალითად, Allan, 2006; Cobb, 1999; Horst and Cobb, 2001; Koosha and Jafarpour, 2006; Sun and Wang, 2003).

12. რაოდენობრივი (ექსპერიმენტის) შედეგებმა დაადასტურეს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ DDL-ის გამოყენება ზრდის მოსწავლეთა ლექსიკური უნარ-ჩვევების დონეს უფრო ეფექტურად, ვიდრე ლექსიკის ტრადიციული მეთოდებით სწავლება. საკონტროლო ჯგუფის ქულა გაიზარდა 23,44-დან პრე-ტესტში 55,90-მდე უშუალო პოსტ-ტესტში, მაგრამ შემცირდა 45,75-მდე გადავადებულ ტესტში. მეორე მხრივ, ექსპერიმენტულ ჯგუფში ქულა გაიზარდა 24,83-დან პრე-ტესტში 65.19-მდე უშუალო პოსტ-ტესტში, მაგრამ შემცირდა 58,77-მდე გადავადებულ პოსტ-ტესტში. მამასადამე, უნარ-ჩვევების დონის საბოლოო გაზრდა იყო 33,94-ით, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში, რაც ადასტურებს DDL-ის უფრო მაღალ ეფექტურობას.

13. მეორე და მესამე ჰიპოთეზა იყო ის, რომ მოსწავლეები ხდებიან უფრო ავტონომიურები, ვიდრე იყვნენ, ახალი ლექსიკის შესწავლისას, ისინი უფრო მოტივირებულნი ხდებიან, გაიმდიდრონ ლექსიკა. ფაქტიურად, ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ ორივე ჯგუფმა გამოხატა ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის მზადყოფნა. ექსპერიმენტის-შემდგომი ინტერვიუს რესპოდენტებმა დაადასტურეს კმაყოფილება ლექსიკის სპეციალური პროგრამული

უზრუნველყოფის გამოყენებისას და სურვილი გამოთქვას, კვლავ გაეგრძელებინათ ამ სტრატეგიის გამოყენება ლექსიკის შესწავლისას. ისინი პასუხობდნენ, რომ ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებამოსწონთ, რადგან:

- იგი მოიცავს ტექნოლოგიის გამოყენებას;
- შემსწავლელელები ავტონომიურები არიან;
- ის ენის შემსწავლელელებს სტიმულირებას უკეთებს, გამოიყენონ საკუთარი პოტენციური აღმოჩენაზე დამყარებული უნარ-ჩვევების საშუალებით;
- ქმნის სტრესისგან თავისუფალ ატმოსფეროს, რადგან მისი გამოყენებისას არ არის მასწავლებლისგან ზეწოლა;
- უზრუნველყოფს ავთენტურ ნიმუშებს ინტერნეტის დახმარებით.

ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის (DDL) გამოყენება მიზნად ისახავს, მოსწავლეები გადაეცია დამოუკიდებელ შემსწავლელად, რომელთაც შეეძლოთ გამოიყენებინათ საკუთარი პოტენციური და განვეითარებინათ აღმოჩენის უნარ-ჩვევები მიხედვის სტრატეგიების გამოყენებით კომპიუტერის დახმარებით (მაგალითად, Partridge, 2006; Tribble and Jones, 1997; Donesch-Jezo, 2013). დისერტაციაში ინტერვიუს შედეგებმა დაადასტურეს ეს მოსაზრება.

14. ლექსიკის სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება შესაძლებელია ენის ჩვეულებრივი შემსწავლელელების მიერ, ისინი შეძლებენ გახდნენ ავტონომიურები და დამოუკიდებლად მიხვდნენ უცნობი სიტყვების მნიშვნელობას ანუ გახდებიან ენის 'მკვლევარები'. დღესდღეობით მოსწავლეებს მოსწონთ, როდესაც სწავლის პროცესში ტექნოლოგიაა ჩართული. ამას გარდა, თანამედროვე მოსწავლეები არიან მეტად იბლიანები, რომ აქვთ 'პორტატული მასწავლებელი' როგორც კლასში, ისე მის გარეთ და იყენებენ მას მარტივად და სწრაფად.

გამოქვეყნებულ სტატიათა ჩამონათვალი, რომლებშიც ასახულია დისერტაციის ძირითადი დებულებები:

1. Data-Driven Vocabulary Learning Activities. Fifth International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English. Tbilisi, IBSU, May 1-2, 2015, p. 411-417

2. Data-Driven Learning as a portable teacher. Fifth International Research Conference on Education, English Language Teaching, English Language and Literatures in English. Tbilisi, IBSU, May 1-2, 2015, p. 418-422
3. Data-Driven Vocabulary Learning vs Traditional Instruction at a high school in Uganda. *IBSU Journal of Education*, 2015, vol. 4, iss. 1, p. 79-85